

შპს “პენსან ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერი

შპს “პენსან ჯორჯია“

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლების ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების ანგარიშგება.....	6
1. შესავალი.....	7
2. კომპანიის საოპერაციო გარემო.....	7
3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	7
(გაგრძელება).....	14
4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები	15
4. (გაგრძელება).....	16
5. ძირითადი საშუალებები.....	17
6. მარაგები	17
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	18
8. ფული და ფულის ექვივალენტები.....	18
9. საწესდებო კაპიტალი.....	18
10. მიღებული სესხები და გადახდილი პროცენტები	19
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19
12. შემოსავალი	20
13. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	20
14. კომერციული ხარჯი	20
15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	20
16. სხვა საოპერაციო ხარჯები	21
17. მოგების გადასახადი.....	21
18. პირობითი ხარჯები, ვალდებულებები და საოპერაციო რისკები.....	21
18. პირობითი ხარჯები, ვალდებულებები და საოპერაციო რისკები (გაგრძელება)	22
19. ფინანსური რისკის მართვა.....	23
19. ფინანსური რისკის მართვის (გაგრძელება).....	23
19. ფინანსური რისკის მართვის (გაგრძელება).....	24
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	25


შპს „პენსან ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	2 602 012	1 041 42
სულ გრძელვადიანი აქტივები		2 602 012	1 041 42
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	6	2 282 572	1 836 920
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	762 460	1 275 414
ფული და ფულის ექვივალენტები	8	296 409	1 880 332
სულ მოკლევადიანი აქტივები		3 341 441	4 992 666
სულ აქტივები		5 943 453	5 096 808
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	9	10	10
გაუნაწილებელი მოგება		844 613	3 318 883
სულ კაპიტალი		844 623	3 318 893
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	10	4 691 216	466 048
სავაჭრო ვალდებულებები	11	628 883	1 311 867
გადახდილი ფინანსური ვალდებულებები		(221 269)	
სულ ვალდებულებები		5 098 830	1 777 915
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		5 943 453	5 096 808

დირექტორი:

18.09. 2021 წელი
თბილისი, საქართველო



გ.გაგოზიანიძე

შენიშვნები გვერდებზე 7-25 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

შპს „პენსან ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

სრული შემოსავლების ანგარიშგება	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი	12	13 502 069	15330627
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	13	(11 365801)	(13861519)
საერთო მოგება		2 136268	1469108
კომერციული ხარჯები	14	(588986)	(362047)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(193901)	(211478)
სხვა საოპერაციო ხარჯები	16	(72002)	(41293)
საოპერაციო მოგება		1281379	854290
ფინანსური ხარჯი	10	(322583)	(156225)
საკუთრობის სხვაობის წმინდა შედეგი		101596	(51897)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		9 316993	11257320
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(9 766814)	(11260375)
მოგება დაბეგვრამდე		610571	643113
მოგების გადასახადის ხარჯი	17	203865	-
წლის წმინდა მოგება		406706	643113
სხვა სრული შემოსავალი/ხარჯი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		406706	643113
შენიშვნა 21			

დირექტორი:

გიგა გობიანიძე

18.09.2021 წელს
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 7-25 წარსთადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს




შპს „პენსან ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	საწესდებო კაპიტალი (შენიშვნა 9)	გაუნაწილებელი მოგება	სულ
1 იანვარი 2019	10	4 254 717	4 254 727
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	-	643 113	643 113
პერიოდში გაცემული დივიდენდი	10	(1 578 947)	(1 578 947)
31 დეკემბერი 2019	10	3 318 883	3 318 893
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	-	406 706	406 706
პერიოდში გაცემული დივიდენდი		2 880 976	2 820 296
31 დეკემბერი 2020	10	844 613	844 623

დირექტორი:



გიგა გობიანიძე

18,09, 2021 წელი

თბილისი საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 7-25 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.


შპს „პენსან ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)			
ფულადი სახსრების ანგარიშგება	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მოგება დაბეგვრამდე		"რეკლასიფიცირებული"	
		406706	643113
ცვეთა და ამორტიზაცია	14	(160960)	(16384)
(მოგება)/ ზარალი უცხოური ვალუტის გადაფასებიდან		(449821)	(3055)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან კაპიტალში		(204075)	623674
ცვლილებებამდე			
ცვლილება მარაგებში		445652	35824
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(512954)	(76906)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(802794)	472071
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(1074171)	1054663
მიღებულ/(გაგებული) პროცენტამდე და გადასახადებამდე			
ფინანსური ხარჯები და (გადახდილი პროცენტი)	10	(526448)	(156225)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		(547723)	(898438)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		2 661166	17924
წმინდა ფული (გამოყენებული)/მოპოვებული საინვესტიციო საქმიანობიდან		(2 661166)	(17924)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
მიღებული სესხები	10	7 479006	1358919
გადახდილი სესხები		(2 787790)	(1522135)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		(4 691216)	(163216)
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტზე		101596	(51897)
წმინდა ფულის ზრდა		(1 583923)	(665401)
ფული და ფული ექვივალენტები წლის დასაწყისში		1 880 332	2 545 733
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს		296409	1 880 332

დირექტორი:

18,09,2021 წელი

თბილისი საქართველო



გიორგი ზობიანიძე

შენიშვნები გვერდებზე 7-25 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

1, შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „პენსან ჯორჯია“ (შემდგომ - „კომპანია“) დაარსდა და დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში 2010 წლის 30 აგვისტოს, კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია: თბილისი, საქართველო. თამარ მეფის 18.

კომპანიის ძირითადი, 100% წილის, მფლობელია კომპანიის დირექტორი გიგა გობიანიძე
კომპანიის ძირითადი საქმიანობაა: საკანცელარიო და სამეურნეო საქონლით საბითუმო და საცალო ვაჭრობა.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველო ავლენს ზრდადი ბაზრისათვის დამახასიათებელ გარკვეულ მახასიათებლებს, რომელიც გულისხმობს: ვალუტის არსებობას, რომელიც არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ბევრ ქვეყანაში საქართველოს ფარგლებს გარეთ, შედარებით მაღალია ინფლაცია და ძლიერია ეკონომიკური ზრდა.

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით, გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების არარსებობით და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარულ პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკური გარემოზე. ხელმძღვანელობას არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ისინი იღებენ ყველა საჭირო ზომას, რომ ხელი შეუწყოს კომპანიის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს დაწყებული 1 იანვრით და დამთავრებული 31 დეკემბრით.

3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის სააღრიცხვო ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება სააღრიცხვო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების გადაფასება ხდება სააღრიცხვო ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
1 USD/GEL	3,2766	2.8677
1 EUR/GEL	4,0233	3,2095

უცხოური ვალუტის საშუალო გაცვლითი კურსები 2019 და 2018 წლების მდგომარეობით არის შემდეგი:

	2019	2018
1 USD/GEL	3,2033	2.6679
1 EUR/GEL	3,4655	2.9913

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივს ერთი კომპანიისთვის და ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს მეორე კომპანიისთვის.

ფინანსური აქტივი

პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად. გამონაკლისია სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა. თავდაპირველად, კომპანია სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით.

სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად. იმისათვის რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნაჩვენებ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს კომპანია ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოღინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც კომპანია ვალდებულია იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად: ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები) ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით. (სასესხო ინსტრუმენტები) ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები) ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია ყველაზე დამახასიათებელია კომპანიისთვის. კომპანია აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და

3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირითად თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას. მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს. სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

1. ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
2. კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოდიანებებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა.

3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა). სავაჭრო მოთხოვნებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად. შესაბამისად, კომპანია არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს მსდ-ს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიას შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორიულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე

ფინანსურ ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში. ყველა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს საბანკო ოვერდრაფტის ჩათვლით.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით. მოგება, ან ზარალი აღიარდება, როგორც მოგება-ზარალში, ვალდებულების აღიარების შეწყვეტის მომენტისთვის, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზირებული ღირებულება გამოითვლება შესყიდვის პროცესში მიღებულ ნებისმიერ პრემიუმის ან ფასდაკლების გათვალისწინებით და ყველა გადასახადის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება, როგორც ფინანსური ხარჯები. აღნიშნული კატეგორია ძირითადად მიესადაგება პროცენტის მატარებელ სესხებს.

3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

ფული და ფულის ქვივალენტები

ფული და ფულის ქვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება. ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება. ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით:

ცვეთის პროცენტი %

ოფისის აღჭურვილობა	20
სატრანსპორტო საშუალება	20
იჯარით აღებული აქტივების კეთილმოწყობა	15
შენობა-ნაგებობები	5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება და მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

მარაგები

მარაგები თავდაპირველად აღირიცხება ღირებულებით, ხოლო შემდგომ ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება მთლიანი შესყიდვის ღირებულებით, დამატებული მარაგების ამჟამინდელ ადგილზე და მდგომარეობამდე მიყვანისთვის საჭირო ყველა სხვა ხარჯი. მაგალითად, ტრანსპორტირების, იმპორტის და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

3. მომზადების საფუძვლები და საღირსეზო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

შემოსავლის აღიარება

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საბითუმო და საცალო ვაჭრობა. შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი საქონელსა და მომსახურებაზე გადადის კლიენტზე იმ თანხით რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანაგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში. გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

წინასწარ გადახდები

აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტიცია აღიარებულია საწყისი ღირებულებით და დაკლასიფიცირებულია როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდის აღიარება ხდება ვალდებულებებში იმ წელს როდესაც ხდება გამოცხადება.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების, აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

4. ახალი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები

ახალი სტანდარტები

კომპანიამ მიიღო ფასს 15 და ფასს 9. აღნიშნული ახალი სტანდარტების დანერგვით გამოწვეული ცვლილების შინაარსი და ეფექტი აღწერილია ქვემოთ. რამდენიმე სხვა შესწორება და ინტერპრეტაცია მიღებულია პირველად 2018 წელს, მაგრამ არ აქვთ გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანია ვადაზე ადრე არ გადასულა სტანდარტზე, ინტერპრეტაციაზე ან შესწორებაზე, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ არ არის ჯერ ძალაში შესული.

ფასს 15 შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ფასს 15 მოიცავს კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებულ ყველა ტიპის შემოსავალს. ფასს 15 შემოაქვს 5 ეტაპიანი მოდელი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის აღსარიცხად და მოითხოვს, რომ შემოსავალი აღიარდეს იმ თანხით, რაც ასახავს სუბიექტის მიერ გაწეული მომსახურების ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მოსალოდნელ მისაღებ საზღაურს.

ფასს 15 მოითხოვს სუბიექტებისგან, რომ კლიენტებთან ხელშეკრულებების აღნიშნული მოდელის თითოეულ ეტაპზე გამოიყენონ საკუთარი განსჯა, ყველა დაკავშირებული ფაქტების და გარემოებების გათვალისწინებით. სტანდარტი ასევე განსაზღვრავს ხელშეკრულების მოპოვების ზღვრული ხარჯების და ხელშეკრულების შესრულებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების აღრიცხვის წესს. ამასთან, სტანდარტი დამატებით მოითხოვს ვრცელ განმარტებით შენიშვნებს.

კომპანია გადავიდა ფასს 15-ზე მოდიფიცირებული რეტროსპექტული მეთოდის გამოყენებით, საწყისი გადასვლის თარიღად აღებული იქნა 2018 წლის 1 იანვარი. აღნიშნული მეთოდით, სტანდარტი შეიძლება გავრცელდეს გადასვლის თარიღისთვის არსებულ ყველა ხელშეკრულებაზე, ან მხოლოდ იმ კონტრაქტებზე, რომელიც აღნიშნული თარიღისთვის ჯერ არ არის დასრულებული. კომპანიამ გადაწყვიტა, რომ გაავრცელოს სტანდარტი 2018 წლის 1 იანვრისთვის არსებულ ყველა ხელშეკრულებაზე. ახალი სტანდარტის დანერგვას არ ჰქონდა გავლენა კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე.

9 ფინანსურ ინსტრუმენტები

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ ჩაანაცვლებს ბასს 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“-ს 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდისთვის და გააერთიანებს ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვის სამივე ასპექტს: კლასიფიკაცია და შეფასება, გაუფასურება და ჰეჯირების აღრიცხვა. კომპანია გადავიდა ფასს 9-ზე რეტროსპექტიულად, საწყისი გადასვლის თარიღად აღებული იქნა 2018 წლის 1 იანვარი. ახალი სტანდარტის დანერგვას არ ჰქონდა გავლენა კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე.

4. ახალი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ სტანდარტების მიღებას შეძლებისდაგვარად აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ფასს (IFRS) 16 „იჯარა“

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფაისკ (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის მსგავსად.

სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის - „დაბალი ღირებულები მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება).

მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი. მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება.

მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას. მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პოლიტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორითაც ბასს 17-ის მიხედვით და გამოიჯნავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს. ფასს 16-ით როგორც მოიჯარეებს, ისე მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა.

ფასს 16 ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ნაადრევი გამოყენება, თუმცა საწარმოს მიერ ფასს 15-ის გამოყენებაზე ადრე არა. მოიჯარემ შეიძლება გადაწყვიტოს სტანდარტის გამოყენება მთლიანად რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. სტანდარტის გარდამავალი დებულებები გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს. 2020 წელს კომპანიამ გააგრძელა თავის ფინანსური ანგარიშგებაზე ფასს 16-ის პოტენციური გავლენის შეფასება. კომპანიამ ახალი სტანდარტი მიიღო მისი ძალაში შესვლისთანავე.

4. ახალი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშ.	შენობა ნაგებობ.	ავეჯი და სხვა ტექნიკა	სატრ. საშ.	იჯარით აღებული ქონების კეთილმ.	სულ
01 /01/ 2019	0	45933	60605	35422	141960
შემოსვლა	0	6625	11257	42	17924
გასვლა	0	(14709)			(14709)
31/12/ 2019	0	37849	71862	35464	145175
შემოსვლა	2 324280	918	335968	0	2 661166
გასვლა		(369)		0	(369)
31/12/ 2020	2 324280	38398	407830	35464	2805972
ცვეთა და ხარჯი					
31/12/2017		(2800)	(4573)	(3945)	(11318)
31/12/2018		(4675)	(5896)	(4727)	(15298)
31/12/ 2019		(5180)	(7186)	(4018)	(16384)
31/12/ 2020	(116213)	(6172)	(35159)	(3416)	(160960)
საბალანსო ღირებ.					
31/12/ 2020	2 208067	19571	355016	19358	2 602012

შენიშვნა: 2020 წელს მოხდა ფირმის მიერ შენობის შეძენა, ეკონომიკური საქმიანობის გაფართოებისათვის, რომელშიც მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები.

6. მარაგები

მარაგები	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მარაგი	2 282572	1 836 920
სულ მარაგები	2 282572	1 836 920

4. ახალი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მოთხოვნები	523064	795118
უიმედო დავალიანების რეზერვი	136359	136462
წინასწარი გადახდები	103037	343834
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	762460	1 275 414

პერიოდის განმავლობაში სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ცვლილება მოცემულია ქვედა ცხრილში, ფაქტიურად გაუფასურების რეზერვი არ შემცირებულა პირიქით გაიზარდა:

უიმედო დავალიანების რეზერვის ბრუნვა	2020	2019
გაუფასურების რეზერვი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	136462	123763
გაუფასურების რეზერვის ცვლილება	(103)	12699
გაუფასურების რეზერვი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	136359	136462

8. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფული სალაროში	-	1 615 457
ფული საბანკო ანგარიშზე	296409	264875
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	296409	1 880 332

9. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის წესდებისა და სარეგისტრაციო დოკუმენტების მიხედვით, რომელიც თარიღდება 2010 წლის 30 აგვისტოს, კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია 10 ლარით. 2020 წელს განხორციელდა დივიდენდების გამოცხადება და გადახდა .

10. მიღებული სესხები

კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრისათვის დარჩენილი ქონდა სესხი ბანკის მიმართ **466048** ლარი.

2020 წლის განმავლობაში ორგანიზაციას ბანკისგან ქონდა **7 479006** ჯამში აღებული სესხი (**466048 +7012958**) აქედან გადაიხადა **2 787790** ლარი, დარჩა გადასახდელი **4 691216** ლარი, პროცენტი იფარებოდა ყოველთვიურად ბანკის მიერ შედგენილი გრაფიკის მიხედვით. დაგროვილმა საპროცენტო განაკვეთდმა შეადგინა : **322583** ლარი, რომელიც კაპიტალიზირდება 2020 წლის ქონების ხარჯად.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კრედიტორული დავალიანება	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო ვალდებულებები	628883	1 311867
სულ კრედიტორული დავალიანება	628883	1 311867

ზემოთხსენებული ვალდებულებების პირობები:

ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი და ჩვეულებრივ იფარება 1 და 3 თვის შეთანხმებით, ფინანსური წლის განმავლობაში.

სახელფასო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი და ჩვეულებრივ სავაჭრო იფარება 1 თვის ვადაში.

12. შემოსავალი

შემოსავალი	2020	2019
ამონაგები	13 502069	15330627
სულ შემოსავალი	13 502069	15330627

13. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2020 წლის ფინანსური წლის განმავლობაში კომპანიამ გაყიდა 11 365801 ლარის თვითღირებულების საქონელი, ხოლო 2019 წელში 13861519 ლარის თვითღირებულების საქონელი, გაყიდული საქონლის თვითღირებულება მოცემულია სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

14. კომერციული ხარჯი

კომერციული ხარჯები	2020	2019
იჯარის ხარჯი	134570	123009
ხელფასის ხარჯი	273337	212859
კომუნალური ხარჯი	7305	7097
ცვეთის ხარჯი	160960	16384
კომუნიკაციის ხარჯი	2814	2698
რემონტი	10000	-
სულ კომერციული ხარჯები	588986	362047

15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2020	2019
ხელფასის ხარჯი	151194	133010
ბანკის საკომისიო	13895	24107
დაზღვევა	6823	-
საწვავის ხარჯი	21989	16570
წარმომადგენლობითი ხარჯები	-	-
მივლინების ხარჯი	-	37791
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	193901	211478

16. სხვა საოპერაციო ხარჯები

სხვა საოპერაციო ხარჯები	2020	2019
სხვა საგადასახადო ხარჯი	13521	9280
სხვადასხვა ხარჯები	50207	25127
საპენსიო ხარჯი	8274	6886
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	72002	41293

17. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

18. პირობითი ხარჯები, ვალდებულებები და საოპერაციო რისკები

სამართალწარმოება

საკუთარ შეფასებაზე და პროფესიონალურ რჩევაზე დაყრდნობით კომპანიის ხელმძღვანელობა არ ელოდება რაიმე სახის მატერიალურ დანაკარგებს მოთხოვნებთან დაკავშირებით შესაბამისად ფინანსურ უწყისებში რეზერვის აღიარება და შენიშვნების გამოქვეყნება არ მიიჩნია მართებულად

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. ხელმძღვანელობის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები. ხელმძღვანელოს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი და სავალუტო კანონმდებლობა შენარჩუნდება შესაბამისად.

ვალდებულებები კაპიტალური დანახარჯებიდან

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ გაჩნია კაპიტალურ დანახარჯებთან დაკავშირებული შეუსრულებელი ვალდებულებები. (2019 წელი - ნული).

19. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის ხელმძღვანელობის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ ხელმძღვანელობის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკებს, აღნიშნული რისკის მიხედვით საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ სხვა მხარისათვის ვალდებულების ვერ შესრულებით წარმოიქმნება ფინანსური ზარალი. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ პროდუქციის შემდგომი გადახდის პირობით რეალიზების საფუძველზე და ასევე სხვა ტრანზაქციების საფუძველზე, რომელიც ზრდის ფინანსურ აქტივებს.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არასამუშაო მდგომარეობაში

ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში

გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. ხელმძღვანელობა აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობელობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს თავის ვალდებულებების შესრულება. კომპანიის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით, აგრეთვე ძლიერ ლიკვიდური აქტივების ფლობით ყველა საოპერაციო და სავალო მომსახურების გასაწევად, რაც უკავშირდება გადახდებს, როდესაც ისინი დაექვემდებარებიან გადახდას.

ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს, 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ფინანსური დოკუმენტებით გათვალისწინებულ ნარჩენ დაფარვის ვადებს მისი არადერივატიული ფინანსური ვალდებულებებისათვის გადახდის შეთანხმებული პერიოდებით.

19. ფინანსური რისკის მართვა

ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების ფულადი ნაკადების საფუძველზე უფრო ადრეულ თარიღზე დაყრდნობით, როდესაც კომპანიას მოეთხოვება გადახდა.

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის ფინანსური ვალდებულებების ხანდაზმულობის ანალიზი შემდეგია:

31 დეკემბერი 2020				
ფინანსური ვალდებულებები	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	> 5 წელი	სულ
სესხები	4 691 216	-	-	4 691 216
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	628 883	-	-	628 883
სულ ფინანსური ვალდებულებები	5 320 099	-	-	5 320 099

31 დეკემბერი 2019				
ფინანსური ვალდებულებები	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	> 5 წელი	სულ
სესხები	466 048	-	-	466 048
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1 311 867	-	-	1 311 867
სულ ფინანსური ვალდებულებები	1 777 915	-	-	1 777 915

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა. აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომელის მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციისას შემთხვევაში.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ.

	31 დეკემბერი 2020		31 დეკემბერი 2019	
	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფული და ფულის ექვივალენტები	296 409	296 409	1 880 332	1 880 332
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	762 460	762 460	1 275 414	1 275 414
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	628 883	628 883	905 742	905 742
სესხები	4 691 216	4 691 216	637 277	637 277

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელი იმისდა მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების გამო იმ იურისდიქციის ფარგლებში სადაც ის ოპერირებს.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ საანგარიშგებო წლის ფინანსური ანგარიშგება უფრო აღქმადს ხდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებას. ფულადი ნაკადებისთვის განკუთვნილი რეკლასიფიკაცია გავლენას არ ახდენს საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე.

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 18 სექტემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, დასკვნის გაშვებამდე, მნიშვნელოვან მოვლენად დაფიქსირდა ის, რომ გაიცა დივიდენდი.